ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 15 ნოემბერი, 2019 | №271 (8225) | ფასი: 60 თეთრი

## შსს: „ბექა კვიციანმა ნოდარ ცეცხლაძეს თბილისის ზღვასთან რამდენიმეჯერ ესროლა და მიიმალა“

ემზარ კვიციანი: „ბექა პოლიციას მე ჩავაბარე, სააკაძის ძეგლთან ვიპოვე, არაფერს ამბობს და იცინის“




გვ.5

# „ქართული ოცნება“ დაიშალა

## „ჩამოყალიბდეს დროებითი მთავრობა!“



გვ.2

გრიგოლ ვაშაძე: „ოცნებას“ გაგხევთ ნაკერავზე!“

## გიგა მაქარაშვილი: „ბიძინა ივანიშვილს ვერ ავუხდენთ ოცნებას, რომ ვადამდელი არჩევნები შემოგვიგდოს“



გვ.3

## გურამ ჩალაგაშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილმა ივლისში თქვა, რომ ივანიშვილი ხალხს გადააგდებდა“



გვ.3



## „ივანიშვილმა ისე მაგრად წააგო, რომ თვითონაც ვერ წარმოუდგენია“

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ პოლიტიკიდან უნდა გაქრეს

გვ.4



## დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილი დესტაბილიზაციის რისკებს ზრდის“

გია ბარამიძე: „ივანიშვილმა ყველა მოატყუა. წარმოიდგინეთ, რა დონის აფერისტია“

გვ.3



## გიორგი გუგავა: „ივანიშვილმა საქართველოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა“




გვ.4

„ოცნების გარდა, ყველა ერთად ვართ“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 დავით ბერძენიშვილი: „საპარლამენტო უმრავლესობა უნდა დაინგრეს“
2 გიორგი მარგველაშვილი: „ან დემოკრატია, ან დიქტატურა“
5 ილია გამგებელსა და დავით ქოქიაშვილს პატიმრობა შეეფარდათ
6 ტრამპი ერდოღანს: „თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ!“

# „ქართული ოცნება“ დაიშალა

## „თუ პარტია თავისივე გადაწყვეტილებას არ ასრულებს, ის სათავეში არ უნდა იყოს“

გუშინ, 14 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტმა პროპორციულ სისტემაზე გადასვლის კანონპროექტი ჩააგდო.

მის მხარდასაჭერად საჭირო იყო 113 ხმა, კანონპროექტს კი ხმა 101-მა დეპუტატმა მისცა.

კანონპროექტის წინააღმდეგი „ქართული ოცნების“ დეპუტატების ნაწილი წავიდა.

ბიძინა ივანიშვილის მიერ ზაფხულში გაცემული დაპირება პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ ხელისუფლების მორიგი ტყუილი აღმოჩნდა.

პარლამენტის ამ გადაწყვეტილებამ სერიოზული მყისიერი ცვლილებები გამოიწვია — საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა, თამარ ჩუგოშვილმა, ირინა ფრუიძემ, გიორგი მოსიძემ, დიმიტრი ცქიტიშვილმა, თამარ ხულორდავამ, ზაზა ხუციშვილმა და სოფიო ქაცარავამ მმართველი გუნდი დატოვეს. აღნიშნული განცხადება კენჭისყრიდან რამდენიმე წუთის შემდეგ პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა გააკეთა.

— ჩვენთვის ძალიან პრინციპული იყო ეს ცვლილება. არ აქვს მნიშვნელობა, რამ გამოიწვია ამ საკონსტიტუციო ცვლილების ჩავარდნა.

ჩვენ არ გვაქვს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დავტოვოთ როგორც საპარლამენტო თანამდებობები, ასევე საპარლამენტო უმრავლესობა, ვინაიდან ამ საკონსტიტუციო ცვლილების ჩავარდნა არის ძალიან მძიმე საკითხი, რომელზეც ჩვენ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

ამ განცხადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო მარიამ ჯაშმა.

— თითქმის სამი საათი გავიდა კენჭისყრის შემდეგ. ეს დრო სპეციალურად გამოვიყენე, რომ ჩემი გადაწყვეტილება არ ყოფილიყო ემოციურ ფონზე მიღებული. ასევე ჩემთვის ძვირფასი ძალიან ბევრი კოლეგა და მეგობარი რჩება „ოცნებაში“ და ეს დრო გამოვიყენე, რომ მათთან მქონოდა გასაუბრება და ჩამეყენებინა ჩემი გადაწყვეტილების თაობაზე საქმის კურსში.



მე ვტოვებ „ქართული ოცნების“ უმრავლესობას და შესაბამისად, ვტოვებ განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს.

### „ქართული ოცნება“ 8 ძირითადმა დეპუტატმა დატოვა

მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე მხარი დავუჭირე პროპორციულ სისტემაზე გადასვლას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს დისკუსია, რომელი საარჩევნო სისტემაა უკეთესი, ამ შემთხვევაში პრინციპული საკითხი იყო, რომ გაგვეტანა საზოგადოებისთვის 2 თვის წინ მიცემული პირობა. ჩემთვის ყოველთვის საამაყოდ დარჩება ის ინიციატივები და ნამდვილად ისტორიული ცვლილებები, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მოიტანა საქართველოში, ყოველთვის ვიამაყებ ჯანდაცვაში, ციხეში, განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმებით, მაგრამ ეს არის პრინციპული გადაწყვეტილება, რომლის არმიღება დღეს მე არ შემიძლია, — განაცხადა მარიამ ჯაშმა.

გადაწყვეტილება საპარლამენტო უმრავლესობის დატოვების შესახებ დიმიტრი ცქიტიშვილმა ასე ახსნა:

— თუ პარტიას, უმრავლესობას არ უნდა თავისივე გადაწყვეტილება შეასრულოს, მას არ აქვს უფლება, იყოს ხელისუფლებაში, ამიტომაც მე ვტოვებ ხელისუფლებას.

როგორც მან აღნიშნა, გადაწყვეტილება სპონტანურია, რადგან ფიქრობდა, რომ პარლამენტი საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებულ ცვლილებას არ ჩააგდებდა.

— ველოდები, რომ უკმაყოფილო ბევრი იქნება. ფრაქცია შეიქმნება თუ არა, ეს იქნება მომავლის საქმე. ალბათ, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, ჩვენ ამ პოზიციას ვიცავდით რამდენიმე დღის განმავლობაში ძალიან პრინციპულად და არათუ ჩვენს, პარტიის ლიდერების მიერ გაჟღერებულ პოზიციას ვიცავდით, — განაცხადა დიმიტრი ცქიტიშვილმა.

# გრიგოლ ვაშაძე: „ოცნებას“ გაგხევთ ნაკერავზე!“

## „ბარემ ისიც გეთქვათ, რომ დილას ივანიშვილის ფეხსაცმელები აუმხედრდა ივანიშვილსო“

— მინდა ვუთხრა ე.წ. „ქართულ ოცნებას“ — რა სისტემითაც არ უნდა ჩაატაროთ არჩევნები — თბილისურად გეტყვით, გაგხევთ ნაკერავზე.



ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა გრიგოლ ვაშაძემ პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე განაცხადა.

მან მოქალაქეებს მიტინგზე მისვლისკენ მოუწოდა იმისათვის, რომ ერთად გააპროტესტონ პარლამენტის მიერ ჩაგდებული კანონპროექტი, რომელიც 2020 წლის არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას გულისხმობს.

ამასთან, გრიგოლ ვაშაძის თქმით, 17 ნოემბერს გაიმართდება მასშტაბური აქცია.

— გვქონდა თათბირი. ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება. ვინც სახლში ხართ, გამოდით, იმიტომ, რომ სახელმწიფოსგან არაფერი დარჩა და იმასაც გართმევენ. გაგვაგებინეთ, ამ სახელმწიფოს ოლიგარქს აძლევთ?! გამოდით ქუჩაში, ამ დროს სახლში რა გინდათ.

ჩვენ იმ თათბირზე, სადაც ვიყავი, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, გაცილებით რადიკალური ღონისძიებების მომხრე ვიყავი, მაგრამ კომპრომისი კომპრომისია, შეთანხმება შეთანხმებაა. მთელი ოპოზიცია მინუს ერთი, ყველა არის გაერთიანებული, ყველა იდეოლოგიური განსხვავებები გვერდზე გადადებული — ვადამდელი არჩევნები და ახალი შემადგენლობა დაკომპლექტებული სამოქალაქო საზოგადოების მიერ ცესკო-ში.

მინდა ვუთხრა ე.წ. „ქართულ ოცნებას“ — რა სისტემითაც არ უნდა ჩაატაროთ არჩევნები — თბილისურად გეტყვით, გაგხევთ ნაკერავზე. ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია ის, რომ გაძლევენ დაპირებებს და ეს დაპირებები მიაქვთ. შემდეგ ყველაფერს აბრალებენ ოპოზიციას. თქვენ თვითონ არ გეცინებათ?!

ტელევიზორში რომ გვეუბნებით, ხუნდაძე აუმხედრდა ივანიშვილსო, ბარემ ისიც გეთქვათ, რომ დილას ივანიშვილის ფეხსაცმელები აუმხედრდა ივანიშვილს. თქვენ თვითონ აღარ გეცინებათ?! ოპოზიცია ერთად არის. ასეთი ერთობა ოპოზიციას არ ჰქონია ეროვნული მოძრაობის შემდეგ. გაიხსენეთ, მაშინ 28 რიცხვში, ოპოზიციამ მიაღწია ცესკოს შემადგენლობის გამოცვლას და დამთავრდა კომუნიზმი საქართველოში. ამას მივაღწევთ.

ქართველებს, სახელმწიფოს გარდა, არაფერი დაგვრჩა. 150.000 ბავშვი შიმშილობს. ხალხი ემიგრაციაშია წასული და ვინც დარჩა, ემიგრაციაზე ოცნებობს. არ დავუთმოთ ეს სახელმწიფო. 23 ნოემბერი მოდის და გაიხსენეთ, რა მოხდა მაშინ საქართველოში, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

# დავით ბერძენიშვილი: „საპარლამენტო უმრავლესობა უნდა დაინგრეს“

— ვადამდელი არჩევნები არის მთელი პოლიტიკური სპექტრის, სამოქალაქო აქტივისტების, სამოქლაქო საზოგადოების დღევანდელი შეთანხმება. ივანიშვილს არჩევნებით გავუშვებთ.



ამის შესახებ პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, აქციები არ შეწყდება.

— ბიძინა ივანიშვილმა ყოველგვარი ბმა დასავლეთთან დაკარგა. მისი ხელისუფლებიდან პირველი ვიცე-სპიკერი, საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე, ევროინტეგრაციის კომიტეტის თავამჯდომარე, განათლების კომიტეტის თავმჯდომარე — 8 კაცი უკვე წავიდა. დაწყებულია ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დაშლის პროცესი.

ჩვენ ვართ პრაგმატული პოლიტიკოსები. აქ ვდგავართ სამოქალაქო აქტივისტებთან ერთად. ჩვენ დღეს ამ მნიშვნელოვან მომენტში ხალხს იმას კი არ ვახსენებთ, აქამდე სად იყავით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყოველი დაკარგული მანდატი.

უმრავლესობა უნდა დაკარგოს ივანიშვილმა, საპარლამენტო უმრავლესობა უნდა დაინგრეს. ჩვენ ამას ხელს შევუწყობთ. ვადამდელი არჩევნები ეს არის მთელი პოლიტიკური სპექტრის, სამოქალაქო აქტივისტების, სამოქალაქო საზოგადოების შეთანხმება, დღევანდელი შეთანხმება. ივანიშვილს არჩევნებით გავუშვებთ.

ივანიშვილის დამარცხებას სწორედ ბიულეტენებით შევძლებთ. ბიულეტენებამდე გვექნება აქციები, წერტილოვანი დარტყმები, მასობრივი პროტესტი ქუჩაში, თბილისში და საქართველოს ყველა ქალაქში. ბიძინა ფლიდი როგორ მოერევა ქართულ საზოგადოებას?! — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

# კალაძე: „ოცნების“ დეპუტატებმა ერთმანეთი სცემეს უმრავლესობის სხდომაზე“



თბილისის მერის კახა კალაძის თქმით, მმართველ პარტიაში პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ცხარე დებატები იყო, მათ შორის ფიზიკური დაპირისპირებაც.

— მოხდა ის, რაც მოხდა. ორი დღის განმავლობაში და უფრო მეტიც, ვსაურბობდით, რომ იყო ადამიანების დეპუტატების ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ამ ცვლილებას, საკმაოდ დაძაბული, ფიზიკურ დაპირისპირებამდეც კი მივიდა და მე ახლა არ დავასახელებ იმ ადამიანების სახელსა და გვარს, ვინც ერთმანეთს დაუპირისპირდა, თუმცა საზოგადოებისთვის ყველაფერი გახდება ცნობილი.

იყო ცხარე დებატებები, იყო დაპირისპირებებიც, იყო ფიზიკური დაპირისპირებაც რამდენიმე შემთხვევაში, — აღნიშნა კახი კალაძემ.

# „ჩამოყალიბდეს დროებითი მთავრობა!“ — რას ითხოვენ აქციაზე რუსთაველზე



გუშინ, 14 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციაზე სამოქმედო გეგმა გაჟღერდა, რომელზეც ოპოზიცია და სამოქალაქო სექტორის შეჯერდა.

აქციის მონაწილეების მოთხოვნები სამ პუნქტს მოიცავს:

1. ჩამოყალიბდეს დროებითი მთავრობა.
2. გარდამავალი მთავრობა დაკომპლექტდეს ეროვნული თანხმობის კომიტეტით, პრინციპით — ყველა მინუს ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი.
3. თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს დროებითი მთავრობის პირობებში.

# გიორგი მარგველაშვილი: „ან დემოკრატია, ან დიქტატურა“



საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი, რუსთაველზე, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას შეუერთდა და შეკრებულებს სიტყვით მიმართა.

მანამდე კი მან ინგა გრიგოლიას უთხრა: „მე არ მინდა პოლიტიკაში მობრუნება, მაგრამ არ მინდა დიქტატურაში ცხოვრება“.

— ვდგავარ იქ, სადაც დგას ქართველი ხალხი და იმ ადგილას, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. ან დემოკრატია, ან დიქტატურა, — განაცხადა მეოთხე პრეზიდენტმა.

სიტყვით გამოსვლისას კი გიორგი მარგველაშვილმა მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, მეგობარ პრეზიდენტებს, გამოიყენონ ბერკეტები, რომ ხელისუფლებამ არჩევნები არ მოიპაროს.

# ლევან გოგიჩაიშვილი: „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ პროცესები გასულიყო ქუჩაში“



დამოუკიდებელი დეპუტატი, ლევან გოგიჩაიშვილი აცხადებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პროცესები გასულიყო ქუჩაში.

— რეალურად ვნერვიულობთ, რა შეიძლება მოხდეს და რა პროცესები შეიძლება განვითარდეს, მე მირჩევნია ორჯერ და სამჯერ ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები და პროცესი იყოს პარლამენტში, ვიდრე პროცესი გავიდეს ქუჩაში. ჩვენ გვირჩევნია, რომ პროცესი იყოს პარლამენტში, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პროცესები გასულიყო ქუჩაში.

ჩვენი ამოცანაა, რომ გავიაზროთ ეს ყველაფერი და არ მივცეთ საშუალება, რომ ცუდი დაემართოს ჩვენს ქვეყანას, — განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გურამ ჩალაგაშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილმა ივლისში თქვა, რომ ივანიშვილი ხალხს გადააგდებდა“

ნონა ცაბაძე



პარლამენტმა საარჩევნო კანონპროექტი, რომელიც 2020 წლიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ითვალისწინებდა, ჩააგდო. დიდი ვნებათაღელვაა ოპოზიციაში და თავად „ოცნების“ უმრავლესობაშიც. „ოცნების“ შვიდმა დეპუტატმა პარტია „ქართული ოცნება“ და საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა. როგორ განვითარდება მოვლენები, მივდივართ თუ არა ვადამდელი არჩევნებისკენ, რა გეგმები აქვს ოპოზიციას? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **გურამ ჩალაგაშვილი** პასუხობს.

***– ბატონო გურამ, საზოგადოებამ ნახა, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო პარლამენტმა. წინა დღეს განვითარებულ პროცესებსაც ვადევნებდით თვალს. საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს არის ბიძინა ივანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი და საზოგადოება მოტყუებული დატოვეს. როგორია ოპოზიციის გეგმები?***

– 20 ივნისის მოვლენების შემდეგ გამოვიდა ბიძინა ივანიშვილი და თქვა, რომ იქნებოდა პროპორციული წესით არჩევნები. ამასთან დაკავშირებით ივლისის დასაწყისში ირაკლი ოქრუაშვილმა დაწერა პოსტი ფეისბუქზე, რომ ეს არის მორიგი ტრიუკი, ეს არის მორიგი ტყუილი და ივანიშვილი, როგორც წესი, გამოიყენებს თავის ჩვეულ ილეთს, რომლითაც მან მოიტანა საკუთარი ცხოვრება. ირაკლი ამბობდა, რომ ის აუცილებლად გააცურებს და გადააგდებს ქართველ ხალხს.

***– ანუ ეს დაპირება იყო იმ კრიზისული სიტუაციის გადასაგორებლად?***

– დიახ, რა თქმა უნდა. დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ ივანიშვილმა ის, რასაც ჩვენ ვფიქრობდით, შეასრულა. მოდით, ასე შევაფასოთ, დღეს ჩვენ ქვეყანაში გვყავს საპარლამენტო უმრავლესობა, რომელ უმრავლესობაშიც ვერ იქნა მოძებნილი 10 ადამიანი, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ საგამოძიებო კომისიის შექმნას პარლამენტში და რომლებიც დაეხმარებოდნენ მალხაზ მაჩალიკაშვილს, რომ ამ ადამიანს დაედგინა სიმართლე. ჩვენ გვყავს საპარლამენტო უმრავლესობა, რომელ უმრავლესობაშიც ვერ მოიძებნა ორ ადამიანზე მეტი, დანარჩენებს თვალი არ დაუხამხამებიათ, ისე დააჭირეს ღილაკზე ხელი და ისე გაწირეს ნიკა მელია ციხისთვის. ჩვენ გვყავს საპარლამენტო უმრავლესობა, სადაც არ აღმოჩნდა ერთი ადამიანიც კი, რომელსაც შეეძლო, ხმამაღლა დაესვა კითხვა, თუ რატომ არის ირაკლი ოქრუაშვილი დაპატიმრებული და არის თუ არა ის ბიძინა ივანიშვილის პირადი პოლიტპატიმარი. ახლა ვინმეს უნდა, დამაჯეროს, რომ „ქართულ ოცნებაში“ დაისადგურა სრულმა დემოკრატიამ და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წავიდა ეს ხალხი?! ხუნდაძეებს, შიოლაშვილებსა და ასე შემდეგ ივანიშვილი ვეღარ მართავს?!

***– ეს იყო დაგეგმილი?***

– ეს იყო თავიდანვე დაგეგმილი, რადგან აბსოლუტურად ლოგიკას მოკლებული არგუმენტები მოვისმინეთ დიმიტრი ხუნდაძისგან.

***– ამ ხალხს თავად ჰქონდა ხელი მოწერილი ამ კანონპროექტზე.***

– დიახ, თავად ჰქონდათ ხელი მოწერილი. ამით კიდევ ერთხელ შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც უნდა და როცა უნდა, ისე აპამპულავებს უმრავლესობის წევრებს და დაატარებს თავის ჭკუაზე.

***– თამარ ჩუგოშვილმა და კიდევ ექვსმა დეპუტატმა დატოვეს „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, ისე საპარლამენტო უმრავლესობა. საით მიდის პროცესები? ხომ არ ეშლებათ უმრავლესობა და ვადამდელი არჩევნებიც ხომ არ არის ჩაფიქრებული?***

– მოდით, შევთანხმდეთ იმაზე, რომ უმრავლესობა არ არსებობს, არსებობს ერთი ადამიანი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ყველაფერზე და აკეთებს იმას, რისი სურვილიც თავად აქვს. უმრავლესობა – ეს არის ფორმალობა, რომელიც წერია ფურცელზე და ამით დამთავრდა. ეს ადამიანები, რომლებმაც დატოვეს „ოცნება“, კარგად ვიცით, ვინც არიან. მათ აქვთ დასავლური ორიენტაცია და, შესაბამისად, მათ გადადგეს ის ნაბიჯი, რომელიც გადადგეს.

***– მათ განაცხადეს, რომ იხსნიან პასუხისმგებლობას და მიდიან „ოცნებიდან“.***

– პასუხისმგებლობა მათ უნდა მოეხსნათ 21 ივნისის დილას. საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც მეუბნება, რომ საქართველოში არის დემოკრატია და ისინი ქვეყანაზე ზრუნავენ, ამ ადამიანებს თუ უნდოდათ რამის გაკეთება, ისინი დატოვებდნენ „ოცნებას“ 21 ივნისს, როდესაც ადამიანებს თვალები დასთხარეს და ამდენი პირი დააკავეს. თუ ეს უნდოდათ, გამოსულიყვნენ 21 ივნისს და ეთქვათ, რომ ისინი ტოვებენ „ქართულ ოცნებას“ და ტოვებენ უმრავლესობას, რადგან ეს არის სისხლიანი ხელისუფლება.

***– რა აქვთ მათ ჩაფიქრებული?***

– განსაკუთრებული არაფერი. ცალკე შეიქმნება ახალი ფრაქცია და ეს დარჩენილი 11 თვე იქნებიან ცალკე.

**მრჩება განცდა, რომ ივანიშვილს უკვე დიდი ხანია უნდა, წავიდეს ხელისუფლებიდან, მაგრამ აქვს ორი პრობლემა**

***– ვადამდელი ხომ არ იქნება?***

– ვადამდელი არჩევნები ამ ხელისუფლებას რომ უნდა, ეს ცხადია. კონსტიტუციაში ცვლილება აღარ შედის, ჩავარდა პროექტი, რაც ნიშნავს იმას, რომ მაჟორიტარული სისტემა რჩება ძალაში. ახლა დარჩა ის, რომ უმრავლესობა დაიშალოს და დანიშნონ ვადამდელი არჩევნები. ეს პროცესი ჩანს და ამისკენ მიდიან. თუ მოინდომებენ, ამას მარტივად მიაღწევენ, ყოველგვარი პრობლემის გარეშე. იქნება ვადამელი არჩევნები, იქნება მაჟორიტარული სისტემა. მე შემიძლია, პირობა მივცე ყველას, რომ ივანიშვილი, რა სისტემითაც არ უნდა ჩატარდეს არჩევნები, ის აუცილებლად წააგებს! ივანიშვილი საქართველოს ხელისუფლებაში ვეღარ დარჩება, ეს გამორიცხულია. მისი დღეები დათვლილია. მან თავისი უმრავლესობის ხელით აუნთო საკუთარ თავს წითელი ბარათი.

***– პროცესებმა გადაინაცვლა ქუჩაში. რამდენად გამწვავდება სიტუაცია, უმართავ სიტუაციას ხომ არ მივიღებთ?***

– ოპოზიცია ერთიანია ამ სიტუაციაში, გადადგმული იქნება საკმაოდ მწვავე ნაბიჯები და ყველა პარტია ერთსულოვანია. ჩვენ ვიმოქმედებთ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. ეს ყველაფერი აუცილებლად მიიღებს ძალიან მწვავე ხასიათს. მრჩება განცდა, რომ ივანიშვილს უკვე დიდი ხანია უნდა, წავიდეს ხელისუფლებიდან, მაგრამ აქვს ორი პრობლემა.

***– რა პრობლემა?***

– ერთი პრობლემა არის ის, რომ რუსეთი ამის უფლებას არ მისცემს. თუ ის დატოვებს ხელისუფლებას და ეს ქვეყანა კვლავ გადაერთვება დასავლურ კურსზე, იცის, რომ მას შეექმნება სერიოზული პრობლემები. ასევე აქვს მეორე პრობლემა, მისი ფინანსები, რომელიც მან დასავლეთში გადაისროლა. ის გამოუვალ მდგომარეობაშია. ყველამ ვიცით, რომ ოლიგარქების ყველაზე მტკივნეული ადგილი არის მათი ფინანსები, იცის, რომ მისი ანგარიშები გაიყინება და დარჩება ნულზე. ერთადერთი ვარიანტი, რომ ამ ადამიანმა შეინარჩუნოს ფინანსები, მან უნდა წააგოს ეს არჩევნები და წავიდეს ხელისუფლებიდან. მრჩება განცდა, რომ ივანიშვილი თავადვე მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, გამოდით, ბატონებო, ქუჩაში, ამოგვარტყით ჭიტლაყი და გაგვიშვითო, რათა ამით თავი „გაიპრავოს“ პუტინთან. ჩვენ მობილიზებულები ვართ, ყველა ქუჩაში ვართ, უამრავი ადამიანი გამოვა. მას თუ ჰგონია, რომ კიდევ თვალებს დათხრის, სისხლს დაღვრის და იმავეს გაიმეორებს, ძალიან ცდება. უპრეცედენტო მობილიზებაა სამართალდამცავების. დიდი სატვირთო მანქანებით მოჰყავთ სპეცდანიშნულების რაზმები რუსთაველზე.

***– რა იქნება ამ ყველაფრის შედეგი?***

– შედეგი იქნება ის, რომ ეს ხელისუფლება უფრო სხვანაირად დაამთავრებს საკუთარ მოღვაწეობას და ამის გათვლა მათ არც ჰქონიათ.

***– დღეს „ქართული ოცნება“ მის ალტერნატივად კვლავ ნაციონალურ მოძრაობას განიხილავს და ამით რის მიღწევას ცდილობს? ეს პროცესი ოპოზიციაში განხეთქილებას ხომ არ შეიტანს?***

– ამან განხეთქილება არ უნდა შეიტანოს ოპოზიციური რიგებში. ყველა რეალური ოპოზიციური ძალა უნდა დავდგეთ ერთად ერთი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. ყველა ჩვენს პარტიულ ინტერესებს გვერდზე გადავდებთ და ერთად ვიმსჯელებთ, როგორ მოვაშოროთ ხელისუფლებას სისხლიანი ივანიშვილი და ეს მურუსიძეები. დარწმუნებული ვარ, ძალიან მაღალ და მაგარ შედეგს მივიღებთ. ეს გარდაუვალია და ორჯერ ორი ოთხია. რომ გამოდის „ოცნება“ და ყოველწუთს გაიძახის, ჩვენი ალტერნატივაა ნაცმოძრაობააო, ეს გაგრძელებაა იმ ღია კამპანიისა, რომელიც მათ აწარმოეს საპრეზიდენტო არჩევნების წინ. არავის აღარავისი არ ეშინია. ძალიან ბევრი ოპოზიციური პარტია გავერთიანდით და ჩვენ გვაქვს რეალური ძალა იმისა, რომ ეს ხელისუფლება მოვიშოროთ.

***– ცუდი დასასრულის სუნი გცემთ?***

– დასასრული ივანიშვილისთვის იქნება ძალიან ცუდი. ივანიშვილს შეუძლია, მართლაც ძალიან მაგრად ეშინოდეს, იმიტომ, რომ მისი დღეები დათვლილია და ის აუცილებლად წავა ამ ხელისუფლებიდან.

# გიგა მაქარაშვილი: „ბიძინა ივანიშვილს ვერ ავუხდენთ ოცნებას, რომ ვადამდელი არჩევნები შემოგვიგდოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი **გიგა მაქარაშვილი** პასუხობს.

***– გიგა, ვნახეთ, რა სიტუაციაც შეიქმნა, „ოცნებამ“ გადააგდო საკუთარი ამომრჩეველი, არ შეასრულა დაპირება. ამ საპროტესტო ტალღის სათავეში დგას თქვენი მოძრაობა. რა გეგმები გაქვთ, რას აპირებთ?***

– ჩვენს ხალხთან ერთად გადავწყვეტთ სამოქმედო გეგმას. ერთი რამ ცხადია, რომ როგორც ბიძინა ივანიშვილს უნდა, ისე არ იქნება. დღის განმავლობაში ჩვენ გვქონდა მცდელობა პარლამენტის გამოსასვლელების ბლოკირების, რათა ეს უვარგისი პარლამენტარები არ გამოგვეშვა პარლამენტის შენობიდან, თუმცა პოლიციამ ძალით გაგვწია. ამის შემდეგ ჩვენ გადავკეტეთ რუსთაველის გამზირი. ერთი რამ ყველამ ზუსტად ვიცით, რომ ეს ხელისუფლება უნდა დასრულდეს აუცილებლად. ჩვენ ყველანი ერთად ვგეგმავდით 2020-ში ჩვენი არჩევანის გაკეთებას, მაგრამ, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს არ უნდა, არჩევნებამდე მიიყვანოს საქმე და ახალ ვაბანკზე წამოვიდა. თუმცა ახლა ისეა გაბოროტებული ხალხი, ისეა გამწარებული, ისეა იმედგაცრუებული „ქართული ოცნებისგან“, რომ მათ ვაბანკზე ვაბანკით უპასუხებენ.

***– რას აპირებთ?***

– კონკრეტულად რა მოხდება, ამის თქმა მიჭირს. ერთი რამის თქმა შემიძლია, პროტესტი იქნება ძალიან მწვავე და აუცილებლად იქნება კანონის ფარგლებში.

***– რა ჩაიფიქრა ბიძინა ივანიშვილმა?***

– ბიძინა ივანიშვილმა კვლევის შედეგები ნახა და მიხვდა, რომ 2020-ის არჩევნებში უმრავლესობით ვერ მოდიოდა. მოდიოდა მხოლოდ მცირე ჯგუფით, რომელიც მის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდა და სწორედ ამიტომ მაჟორიტარების ხელით გადაწყვიტა, ჩაეგდო პროპორციული არჩევნების იდეა, რაც, ბუნებრივია, არ გაუვა! აღარავინ ჭამს მის ტყუილებს, ყველამ იცის, რომ ბიძინა ივანიშვილი არის კაცი, რომელსაც ჰყავს მონები. ვინც ხმა არ მისცა ამ კანონპროექტს, ისინი არიან მისი ყურმოჭრილი მონები, შესაბამისად, ეს ადამიანები მის თამაშს თამაშობენ.



***– კეთდება შეფასებები, რომ რუსთაველზე სამართალდამცავების მაქსიმალური მობილიზებაა, სპეცდანიშნულების რაზმებიც შემოიყვანეს. ხომ არ არის საფრთხე, რომ 20-21 ივნისის მსგავსი მოვლენები განმეორდეს, წავლენ ამაზე?***

– ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მსგავსი არაფერი მოხდება, თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისგან არაფერია გამორიცხული. ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს იზამს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ხელისუფლება. რუსთაველის გამზირზე ხალხი უფრო მეტია, ვიდრე სპეცრაზმელი და, ვფიქრობ, სპეცრაზმელებიც არ არიან ის ადამიანები, რომლებიც ყველაფერზე მოაწერენ ხელს. იმედი მაქვს, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის.

***– ამ პროცესმა სრულიად ოპოზიცია გააერთიანა. ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, რას ელით?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილი დესტაბილიზაციის რისკებს ზრდის“

## გია ბარამიძე: „ივანიშვილმა ყველა მოატყუა. წარმოიდგინეთ, რა დონის აფერისტია“

იაგო ნაცვლიშვილი



საპარლამენტო უმრავლესობამ ჩააგდო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ითვალისწინებდა. კანონპროექტის ჩაგდების გამო საპარლამენტო უმრავლესობა 8 დეპუტატმა დატოვა და გადინების პროცესი კვლავ გრძელდება. ოპოზიცია კი უკვე ქუჩაში გავიდა, თუმცა მათი სამოქმედო გეგმა კონსულტაციების შემდეგ გაირკვევა.

ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ **გია ბარამიძესა** და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელ **დავით დარჩიაშვილს** ესაუბრა.

გია ბარამიძე ამბობს, რომ ივანიშვილმა პრაქტიკულად ყველა მოატყუა.

***– საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილების შემდეგ ქვეყანაში შეიქმნა კრიზისი. რას აპირებთ, როგორია თქვენი გეგმა?***

– უპირველეს ყოვლისა, დღეს შევიკრიბებით პარტიების ლიდერები (ინტერვიუ ჩაწერილია ოპოზიციის შეკრებამდე ავტ.). ვაპირებთ ყველა პარტიასთან კოორდინირებულ მოქმედებას, ასევე საზოგადოებასა და რიგით ადამიანებთან ერთად ვიმოქმედებთ. ვიმოქმედებთ ყველა იმ ადამიანთან ერთად, რომლებმაც შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი, განურჩევლად პოლიტიკური სიმპათიისა. ივანიშვილმა ადამიანებს მიაყენა შეურაცხყოფა და ასე უტიფრად მოატყუა.

პრაქტიკულად ყველა მოატყუა ივანიშვილმა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. გაეროს ტრიბუნებიდან ლაპარაკობდნენ, როგორც მომხდარ ფაქტზე. წარმოიდგინეთ, რა დონის აფერისტია. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ადამიანი მშვიდობიანად გავისტუმროთ ხელისუფლებიდან.

ამას მოთმინება და ბრძოლა დასჭირდება, მაგრამ ეს აუცილებლად გამოიღებს თავის შედეგს. ივანიშვილმა ყველას შეურაცხყოფა მიაყენა, მაპატიეთ და უთხრა ხალხს, ყველანი ფეხებზე მკიდიხართ და, რასაც მინდა, იმას ვიზამო.

***– ანუ ყველა შემთხვევაში ქუჩის აქციებსა და მასობრივ პროტესტს უნდა ველოდოთ?***

– რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში მშვიდობიან, მაგრამ ძალიან აქტიურ პროტესტს უნდა ველოდოთ, ადეკვატურ პასუხს იმისა, როგორ თავხედურადაც მოექცა საზოგადოებას.

***– თქვენ ამ ყველაფერს პირადად ბიძინა ივანიშვილს უკავშირებთ და არ გჯერათ, რომ მის წინააღმდეგ წავიდნენ დეპუტატები?***

– რა თქმა უნდა.

„ევროპული საქართველოს“ წევრი დავით დარჩიაშვილი ამბობს, რომ, სავარაუდოდ, პროცესები რადიკალიზაციისკენ წავა.

***– რას აპირებთ ოპოზიცია იმ ფონზე, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ კრიზისი შექმნა?***

– მე შემიძლია, ჩემი ვარაუდი გამოვთქვა, რომ კი, გველოდება. უბრალოდ, ამ ეტაპზე ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია, მათ შორის ჩვენი პარტიაც ჯერ საკუთარი სტრუქტურის ფარგლებში ითათბირებს, მერე შეხვედრას მოაწყობს და გეგმა დაიდება.

ამასობაში კი აგერ კიდევ ტოვებენ უმრავლესობას დეპუტატები. მე ვფიქრობ, ვითარება წავა რადიკალიზაციისკენ.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილს უნდა ვადამდელი არჩევნები და ამით ხომ არ უნდა აიხსნას დეპუტატების გადინება უმრავლესობიდან?***

– მე ვფიქრობ, რომ მთლიანობაში ბიძინა ივანიშვილი არის მძიმე მდგომარეობაში, იმიტომ, რომ მას არ უნდა უმრავლესობის დატოვება, მაგრამ სოციოლოგია ეუბნება, რომ ამის გაკეთება მოუწევს. ბუნებრივია, ის ეცნობა განწყობებსა და კვლევებს. აკეთებს მისი პარტია შიდა კვლევებს, უყურებს სხვა კვლევებსაც და

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# „ივანიშვილმა ისე მაგრად წააგო, რომ თვითონაც ვერ წარმოუდგენია“

## დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნება“ პოლიტიკიდან უნდა გაქრეს

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილების ჩავარდნა ალბათ მოულოდნელი არ იყო. პროცესები პარლამენტიდან ქუჩაში გადაინაცვლებს?***

– პარლამენტში პოლიტიკას უკვე აზრი აღარ აქვს. დღეიდან არც პოლიტიკაა რეალური და არც არაფერი. რა აზრი აქვს ამ უპირო დეპუტატებთან პოლიტიკაზე საუბარს?! ნებისმიერი დაპირება, ეს იქნება საარჩევნო თუ საპროტესტო მუხტის შედეგად გაცემული პოლიტიკური დაპირება, მაინც არ სრულდება და რა აზრი აქვს პარლამენტში ჯდომას?!

პარლამენტში უნდა ისხდნენ ისინი, ვისაც ხალხისგან ბოძებული ძალა გააჩნია და ამ ძალას ახმარენ სწორედ ხალხს.

დღეს ამ დეპუტატებს, არც ერთს, ხალხის მხარდაჭერა არ აქვს, ამიტომ ძალაუფლება უნდა გავიდეს ქუჩაში, ხალხს უნდა დაუბრუნდეს და ქუჩაში უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება, თან ბრძოლა იქნება ღირსებისთვის.

უკვე აღარ არის საუბარი შუალედურ გადაწყვეტილებებზე, საუბარია ღირსების დაბრუნებაზე. ეს არ იქნება უბრალოდ საპროტესტო აქციები, ეს იქნება ბრძოლა ღირსების დაბრუნებისთვის, რადგან მოტყუება, სიცრუე, გადაგდება, ფლიდობა გახდა პოლიტიკოსების სახე ჩვენს ქვეყანაში.

ეს უნდა დასრულდეს ერთხელ და საბოლოოდ.

***– „ქართული ოცნება“ შიდა დემოკრატიაზე საუბრობს.***



– „ქართული ოცნება“ პოლიტიკიდან უნდა გაქრეს ისევე სამართლიანად, როგორც „მოქალაქეთა კავშირი“ გაქრა თავის დროზე.

***– პოლიტიკური დესტაბილიზაცია რამდენად არის მოსალოდნელი და რამდენად შეიძლება, ეს ვადამდელი არჩევნების წინაპირობა გახდეს?***

– როგორც ჩანს, ყველაფერი აქეთკენ მიდის. ალბათ იტყვიან, ისეთი უმრავლესობა აღარ გვყავს, შემოვლენ ვითომ მთავრობის მხარდაჭერის ინიციატივით, მერე ბიუჯეტი ჩავარდება, რომლის განხილვებიც უკვე დაიწყო პარლამენტში და ეს იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მცდელობა.

მე ვთვლი, რომ ამ დღევანდელი ნაბიჯით „ქართულმა ოცნებამ“ პრაქტიკულად დაამთავრა თავისი რვაწლიანი სამარცხვინო მოღვაწეობა. ამდენი ტყუილი და ამდენი შეუსრულებელი დაპირება არც ერთ ხელისუფლებას არ უკადრებია, რასაც „ქართული ოცნება“ კადრულობს.

***– გამოდის, ამ ყველაფრის შემოქმედები „ოცნების“ მაჟორიტარები არიან და პოლიტიკური დღის წესრიგი ქვეყანაში მათ შეცვალეს?***

– ისეთმა ადამიანებმა გაბედეს ვითომ, ფსევდოდ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წასვლა, რომ რა გითხრათ?! ეს ის მაჟორიტარები არიან, რომლებიც სუსის რიგითი თანამშრომლის წინააღმდეგ ვერ წავლენ, არათუ ბიძინა ივანიშვილის. უმეტესობა სუსიდან კონტროლირებადი დეპუტატებია. თუ სუსი წავიდა ხელისუფლებისა და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, მაშინ დავლეპულვართ და ეგ არის.

ეს არის შეკვეთა, რომელიც ღიად ჩანს და რომელიც ხელისგულზე დევს. ამ ადამიანებს პარლამენტში პოლიტიკურად არასდროს უაქტიურიათ. მათ პოლიტიკური სახე არასდროს ჰქონიათ. ისინი არიან ღილაკზე თითის მიმჭერი დეპუტატები. სწორედ ასეთი ხალხი შეირჩა და სწორედ მათ მიაღებინეს ეს გადაწყვეტილება. მათ არც პოლიტიკური ამბიციები გააჩნიათ და არც მათ პოლიტიკურ კარიერას დააზიანებს ეს გადაწყვეტილება.

ეს არის ერთი დიდი აფერა, საზოგადოების მოტყუების მცდელობა. დიახ, მცდელობა, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ. თუმცა საზოგადოება, ხალხი არ მოტყუვდება, რადგან ყველამ ყველაფერი კარგად დაინახა და გაიგო.

ვნახეთ, ქვეყანაში ვერა, მაგრამ თურმე როგორი დემოკრატია ყოფილა მმართველ პარტიაში. ისიც ვნახეთ, რომ თურმე პარტიის ხელმძღვანელობა კი არა, უსახური დეპუტატები წყვეტენ ქვეყნის მომავალს. ძალიან რბილად რომ ვთქვა, სასაცილოა ეს ყველაფერი და ვის დააჯერებენ ნეტა ამას?!

***– უმრავლესობის ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ცქიტიშვილი აცხადებს, რომ თუ პარტიას არ შეუძლია თავისი გადაწყვეტილების დაცვა, მას არ აქვს უფლება, ხელისუფლებაში იყოს. ელოდით მათგან უმრავლესობის დატოვებას?***

– დღეს მათზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ისინი არიან იმ ფლიდობის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც აქამდე „ქართული ოცნება“ ეწეოდა. მათ პოლიტიკაში ყოფნა უნდათ, გაუტკბათ და ახლა ცდილობენ, თავი გადაირჩინონ, რადგანაც გემი უკვე იძირება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ პატრონებთან შეთანხმებული ნაბიჯია. ეჭვი მეპარება, რომ მათ ეს ნაბიჯი ღირსების გამო და ხალხისთვის მიცემული სიტყვის დასაცავად გადადგეს.

„ქართული ოცნების“ წევრებს იმდენჯერ არ დაუცავთ სიტყვა და იმდენჯერ გაუტეხიათ, რომ ჩემი მათდამი დაპირისპირების მიზეზი და წამოსვლაც სწორედ ეს იყო – დაპირებების შეუსრულებლობა და ადამიანების ინტერესების იგნორირება. ამიტომ, მე მაინც მგონია, რომ მათი ნაბიჯი საკუთარი თავის გადარჩენის მცდელობაა.

***– ივანიშვილმა ამ კანონპროექტის ჩაგდებით მოიგო თუ წააგო?***

– ივანიშვილმა ისე მაგრად წააგო, რომ თვითონაც ვერ წარმოუდგენია. შეიძლება, დღეს ვითომ მოიგო თავისი ანგარიშით, მაგრამ ის მხარდაჭერა, რომელიც 2012 წელს ჰქონდა, ხალხის ის სიყვარული, ის ნდობა, რომელიც მართლაც ჰქონდა, თავისვე ხელით ნულამდე დაიყვანა.

ივანიშვილმა საკუთარ თავს ყველაზე ცუდი განაჩენი გამოუტანა. ასეთ განაჩენს სხვა ვერც კი გამოუტანდა.

# დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილი დესტაბილიზაციის რისკებს ზრდის“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ხედავს, რომ როგორც მისი, ისე „ქართული ოცნების“ რეიტინგი კატასტროფულად მიექანება ქვემოთ. ახლა ასეთი ტრიუკებით ცდილობს თავის გადარჩენას.

იმის ნაცვლად, რომ რეალობას შეეგუოს, პირიქით, ცდილობს, ეს რეალობა შეაჩეროს. აქედან არაფერი კარგი არ გამოვა, იმიტომ, რომ არ შეიძლება ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება და კანონზომიერი ტენდენციების შემობრუნება ისე, როგორც მას უნდა. უბრალოდ, ამ ყველაფრით რისკებს ზრდის იმისას, რომ პროცესები იყოს რადიკალური და დესტაბილიზაციისკენ მიდიოდეს საქმე, რაც ზოგადად ცუდია ქვეყნისათვის.

როდესაც ხდება რევოლუციები, ეს, როგორც წესი, ხელისუფლების ბრალია, უფრო სწორად, ყოველთვის ხელისუფლების ბრალია.

***– მათ შორის არჩევნების ბოიკოტირების საკითხსაც განიხილავთ?***

– იცით რა? ტაქტიკაა მოსაფიქრებელი. თუმცა, ეს ტაქტიკაც იყოს ცვალებადი, იმიტომ, რომ ამ არაწინასწარმეტყველებადი კაცისგან კიდევ რა ნაბიჯი გადაიდგმება, კაცმა არ იცის. დღეს რა რეალობასაც ქმნის და რა კონტურებიც გამოიკვეთა, ეს არანაირად არ ჯდება დემოკრატიული მმართველობის ფორმაში, არც გახარიას პრემიერობა და არც ამ იდეის, საყოველთაო იდეის – პროპორციული არჩევნების სრული იგნორირება, არც ის, რომ 20-21 ივნისის დემონსტრანტები დაპატიმრებული არიან. ეს ყველაფერი დიქტატორული მმართველობის კონტურებს აჩვენებს.

ამ ფონზე რა გაკეთდება, არჩევნების ბოიკოტი იქნება, მასობრივი აქციები თუ ზეწოლა იმისათვის, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია შეიცვალოს თუ სხვა... არ ვიცი, ვერ გეტყვით, ეს არის პარტიების მიერ მოსაფიქრებელი და განსახორციელებელი.

***– ხელისუფლების რადიკალიზმს თქვენც, ოპოზიციაც დაუპირისპირებთ რადიკალურ ნაბიჯებს?***



– დემოკრატიის მთავარი პრინციპი ხომ საზოგადოების, უმრავლესობის ნებაა. როდესაც უმრავლესობის ნება იგნორირებულია და ამ საარჩევნო სისტემის შეცვლაზე იყო სრული კონსენსუსი მთელ პოლიტიკურ კლასში თავად „ოცნების“ ჩათვლით, იმიტომ, რომ მიხვდნენ, რადგან მიხვდნენ, რომ მდინარის საწინააღმდეგოდ ცურვა არ ღირდა, მაგრამ, როდესაც დაინახეს, რომ ამით შეიძლება ძალაუფლება დაკარგონ, უცებ დაიწყეს მდინარის აღმა ცურვა.

ასეთ პირობებში, როდესაც დემოკრატიას აზრი ეკარგება, ბუნებრივია, ლოგიკა რადიკალიზაციას გვკარნახობს, მაგრამ, ისევ ვიმეორებ, ეს მიმდინარე პროცესია და, როდის რა მოხდება, რა ფორმას მიიღებს პროცესი, ამის წინასწარმეტყველება დღეს ძალიან რთულია.

***– მოქმედებების ტაქტიკის თაობაზე ოპოზიციას, სავარაუდოდ, როდის გექნებათ პასუხი?***

– ეს არის მოლაპარაკებების საგანი და რას ნიშნავს პასუხი?!

***– როდის ჩამოყალიბდებით?***

– არ ვიცი. ამაზე როგორ გაგცეთ პასუხი?! მე რამე ღილაკზე მიჭერია ხელი, რომ გითხრათ, როდის ჩატარდება კრებები და როდის მოხდება ოპოზიციური შეკრება?! მე ვფიქრობ, რომ ეს რამდენიმე დღის საქმეა. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ შეიძლება, ქუჩაში უცბად ისეთი რაღაც მოხდეს, რომ ყველაფერი დაჩქარდეს. ამიტომ ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა გამიჭირდება.

# გიორგი გუგავა: „ივანიშვილმა საქართველოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა“

## „ოცნების გარდა, ყველა ერთად ვართ“

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტში ჩავარდა პროექტი, რომლითაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წესით უნდა ჩატარებულიყო. ამით დაირღვა საზოგადოებისათვის ზაფხულში მიცემული პირობა. მაჟორიტარული სისტემა შენარჩუნებულია. ამ თემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი გუგავას.

**გიორგი გუგავა:**

– პარლამენტის მიერ ამ ინიციატივის ჩაგდება იყო პირადად ივანიშვილის ავანტიურა. მას არანაირი მხარდაჭერა აღარ აქვს და ძალით ინარჩუნებს ძალაუფლებას. ივანიშვილი მახინჯი ფორმებით ცდილობს ხელისუფლებაში დარჩენას. ამ მიზნით მან პარლამენტში დადგა ვოდევილი, რომელშიც მაჟორიტარები ებრძოდნენ პროპორციულ სისტემაზე გადასვლასა და ივანიშვილს, ივანიშვილი კი მათ ეწინააღმდეგებოდა.

სინამდვილეში, მოხდა ის, რაც უნდოდა ბიძინა ივანიშვილს – მისმა გოშიებმა გაითამაშეს ცირკი და კიდევ ერთხელ მოატყუეს ხალხი. ივანიშვილმა ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა, სახელმწიფო გადასარჩენი გაგვიხადა. ხალხი ამას ასე არ დატოვებს.



***– აქტივისტები ისედაც ქუჩაში არიან. ფიქრობთ, რომ ფართო საზოგადოება გამოვა საარჩევნო საკითხის გასაპროტესტებლად?***

– ეს საარჩევნო კი არა, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხია. ქუჩაში აქტივისტები ნამდვილად არიან. ჩვენი პარტიის ახალგაზრდული ფრთაც დგას პარლამენტთან. სხვა ხალხიც გამოვა.

***– საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს ამ თემის სერიოზულობა?***

– რასაკვირველია. ხალხი უფრო გაერკვევა, რა მოხდა. საზოგადოება მიხვდება, რომ ივანიშვილმა კიდევ ერთხელ გადააგდო, რაც მანამდე ბევრჯერ გაუკეთებია. ახლა ძალითა და გაყალბებით უნდა ხელისუფლებაში დარჩენა. ამიტომ ვამბობ, რომ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის წინაშე დავდექით.

***– მაჟორიტარული სისტემა ისედაც მმართველი პარტიის სასარგებლოდ მუშაობს და გგონიათ, რომ 2020 წელს გაყალბებაც იქნება?***

– ცხადია, მაჟორიტარული სისტემა „ოცნებას“ საკუთარ თავზე აქვს მორგებული. მდიდარ ხალხს ანუ ფულის ტომრებს მიაღებინებს არჩევნებში მონაწილეობას და მერე ამას პარლამენტში მანდატების გასაზრდელად გამოიყენებს. თავისთავად, უსამართლო სისტემაც ამათზე მუშაობს და გაყალბებაც იქნება. წინა არჩევნებში გაყალბების ფაქტებიც დაფიქსირდა.

***– „ქართული ოცნების“ გარდა, არიან პარტიები, რომლებიც მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებას ემხრობიან?***

### „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ განაჩენი არ აღსრულდეს“

– 13 ნოემბერს ჩვენთან, ლეიბორისტული პარტიის ოფისში, ლამის ყველა პარტია ვიყავით შეკრებილი. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული შეხედულებების პარტიები შევთანხმდით, რომ ამ საკითხში ერთიანი ვართ.

***– ამ შეხვედრაზე ერთიანი იყავით, მაგრამ რა იქნება მომავალში?***

– ჩვენ დადგენილებაც მივიღეთ, რომ ერთად დავდგებით და ამ სიტუაციას დავუპირისპირდებით. მახინჯი ფორმებით ძალაუფლების უზურპაციას არ დავუშვებთ.

***– ზაფხულში, როცა ივანიშვილმა 2020 წლისთვის პროპორციული სისტემა და ბუნებრივი ბარიერის ინიციატივა წამოაყენა, ამას ნეგატიურად შეხვდა სააკაშვილი. მან ჩათვალა, რომ ივანიშვილი ამ სისტემით შეიყვანს წვრილ-წვრილ სატელიტებს პარლამენტში.***

– ივანიშვილი ყველა გზით ცდილობს, გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა. ამისათვის საუკეთესო საშუალებაა მაჟორიტარული სისტემა. პროპორციული არჩევნების შემთხვევაში ის ამას ვერ მოახერხებდა.

***– მაშინ გამოჩნდა, რომ სააკაშვილს ის ინიციატივა არ მოსწონდა.***

– როგორც გითხარით, პარტიების შეკრებამ დაადასტურა ჩვენი ერთიანობა ამ საკითხში. პროპორციული სისტემა ყველას მოთხოვნაა. ყველა აღიარებს, რომ ივანიშვილმა ხალხი კიდევ ერთხელ გადააგდო. მე ასე ვიტყოდი – მან ქვეყანას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს განაჩენი არ აღსრულდეს. ამაზე პასუხისმგებლობა ყველას გვეკისრება – პოლიტიკოსებსაც და არაპოლიტიკოსებსაც.

# გიგა მაქარაშვილი: „ბიძინა ივანიშვილს ვერ ავუხდენთ ოცნებას, რომ ვადამდელი არჩევნები შემოგვიგდოს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ველით იმას, რომ ხალხის ერთობა გადაარჩენს ამ არსებულ კრიზისს, რადგან ძალიან რთული იქნება, ამის გარეშე რამეს მივაღწიოთ. ერთობის გარეშე არაფერი გამოგვივა. ახლა ვებრძვით ძალიან ბევრ ფულსა და დიდ ძალაუფლებას. ერთობის გარეშე ფიზიკურად გაგვიჭირდება. ძალიან კარგია, რომ პოლიტიკოსებმა, ოპოზიციურად განწყობილმა პარტიებმა შეძლეს გაერთიანება ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ და ყველამ ერთად სამოქალაქო საზოგადოების სათავეში ყოფნით უნდა შევცვალოთ არსებული რეალობა.

***– გადაიყოლებს ეს საკითხი „ოცნების“ ხელისუფლებასა და ივანიშვილს?***

– „ოცნების“ დასასრული დაიწყო იმ წამიდან, როცა ჩააგდეს კენჭისყრა.

***– ახლა საუბარია იმაზე, რომ ბიძინა ვადამდელ არჩევნებს შემოაგდებს.***

– ვადამდელ არჩევნებს, უბრალოდ, არ მივიღებთ. ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩატარებული არჩევნები ჩვენთვის უფასურია!

***– მაშინ, როგორია თქვენი მოთხოვნები?***

– ერთი რამ ზუსტად ვიცით, ბიძინა ივანიშვილს ვერ ავუხდენთ ოცნებას, რომ ვადამდელი არჩევნები შემოგვიგდოს. ყველა ოპოზიციური პარტია ერთიანია. ხალხო, ყველას გელოდებით რუსთაველზე. დღეს აქ წყდება საქართველოს ბედი. არ დავიშლებით, ასე მარტივად არ ჩაივლის ეს ამბავი! დღეს სამოქალაქო სექტორი და სრულიად ოპოზიციური პარტიები არიან ერთ პოზიციაზე. ბიძინას ეს ჩანაფიქრი არ გაუვა. ვადამდელი არჩევნები არ გამოვა. ვინ უნდა ჩაატაროს ეს არჩევნები, გახარიამ?! არა, ბატონებო, არ გამოვა! 20-21 ივნისის მოვლენებისა და ჩვენი მონაპოვარი იყო პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, მაგრამ დღეს მწარედ მოტყუებულები ვართ. ასე აღარ გამოვა, ამას არ დავთმობთ.

# შსს: „ბექა კვიციანმა ნოდარ ცეცხლაძეს თბილისის ზღვასთან რამდენიმეჯერ ესროლა და მიიმალა“

## ემზარ კვიციანი: „ბექა პოლიციას მე ჩავაბარე, სააკაძის ძეგლთან ვიპოვე, არაფერს ამბობს და იცინის“

გუშინ, 13 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის ზღვაზე მომხდარი მკვლელობის საქმის გახსნასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

უწყების განმარტებით, გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ ბრალდებულმა ბექა კვიციანმა თბილისის ზღვის შემოვლითი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა მეგობარს, ნოდარ ცეცხლაძეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი მკვლელობა გახსნა – დაკავებულია 1 პირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნეს.

სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით თბილისში დააკავეს 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.კ.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ ბ.კ.-მ თბილისის ზღვის შემოვლითი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა 1983 წელს დაბადებულ ნ. ც.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, ნ. ც. ადგილზე გარდაიცვალა.

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, ასევე, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

ბექა კვიციანი, რომელიც წარსულში ნასამართლევია, მოკლული მამაკაცის შვილის ნათლიაა.

დაკავებული ბექა კვიციანი დეპუტატ ემზარ კვიციანის ძმისშვილია. „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატი ირწმუნება, რომ ბექა კვიციანი პოლიციას თავად ჩაჰბარდა.

ემზარ კვიციანი აღნიშნავს, რომ ბექა კვიციანი ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარს.



– ჩაჰბარდა ჩემი ძმისშვილი. მე მივეხმარე ჩაბარებაში. აზრზე არ არის, რა მოხდა, ქუჩაში ვიპოვე. ქალაქში დავდიოდი და ვიპოვე. ბოლო დროს არაადეკვატური იყო. სააკაძის ძეგლთან ვიპოვე. არაფერს ყვება, იცინის. ისიც არ იცის, ვინ არის გარდაცვლილი. არ ახსოვს არაფერი.

პირველ რიგში, ვფიქრობ, რომ მაგას ჩასვამენ და უმკურნალებენ. ახალგაზრდები ამ ბოლო დროს ხომ მწყობრიდან არიან გამოსულები. ეს უბედურება, რომელიც ჩემს ოჯახს ეწვია, ყველა ოჯახს ეწვევა, თუ ერთად არ დავდექით და თუ არ შევაწყვეტინეთ ამ წამლის გაყიდვა ქვეყანაში. როგორც ასეთი, ნარკოდამოკიდებული არ არის, ნემსებს არ იკეთებს, მაგრამ ტაბლეტებს რომ სვამენ, იმას მოიხმარს.

პრაქტიკულად მაღალჩინოსანს ჩავაბარე. ეს უბედურება, რაც აგვეკიდა ოჯახს, მივხედავთ, აბა რას ვიზამთ. ცხოვრებაში ერთმანეთზე მაღალი ხმა არ აქვთ ამოღებული, ბავშვებიდან ერთად იყვნენ. გაოგნებულია მთელი ოჯახი, უბანი, თვითონ დაზარალებულის ოჯახიც, საცოდავები, ამისთანა კაი ბიჭი დაკარგეს, სამი შვილის მამა, ისეთი კარგი პიროვნება, – განაცხადა ემზარ კვიციანმა „ფორმულასთან“.

ბექა კვიციანის არაადეკვატურობაზე განცხადება ადვოკატმა შოთა მანელიძემაც გააკეთა.

– ბექა კვიციანს ფსიქიკური პრობლემები აქვს, – თქვა მან.

ის ბექა კვიციანთან დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფებოდა.

– ბრალდებაზე მსჯელობისგან თავს შევიკავებ, ვინაიდან საქმის მასალები არ მაქვს, მისი გაცნობის შემდეგ შემეძლება, საქმის ვითარებაზე მოგახსენოთ.

რთული მდგომარეობა დამხვდა, რაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ფსიქიკურ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. ადამიანი არაადეკვატურია, ურთიერთობაში ვერ შემოდის. მე, როგორც მის დამცველს, მაინტერესებდა, რას ფიქრობდა იმ ბრალდების ირგვლივ, რასაც ბრალდების მხარე ედავება. ერთადერთი, რისი თქმაც მოახერხა, არის ის, რომ მას არანაირი სახის დანაშაული არ ჩაუდენია.

შევეცადე, რომ მეტი კონკრეტიზაცია შემეტანა ჩვენს საუბარში, მაგრამ მან ფიზიკურად ვერ შეძლო პასუხების გაცემა, რადგან არ იყო ისეთ მდგომარეობაში, რასაც მდგრადი მდგომარეობა ჰქვია, – განაცხადა შოთა მანელიძემ.

ადვოკატის თქმით, ბექა კვიციანი გარკვეულ მედიკამენტებს იღებდა.

– როგორც ვიცი, გარკვეულ მედიკამენტებს იღებდა, არ ვიცი, ეს ფსიქოტროპული იყო თუ ძლიერმოქმედი მედიკამენტები. შევეცადე, მისგან დასახელება გამერკვია, მაგრამ მან მითხრა, რომ არ ახსოვს, – დასძინა ადვოკატმა.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, თუკი ასეთი ფსიქიკური მდგომარეობა აქვს, როგორ შეძლო რამდენიმე დღით მიმალვა, ადვოკატი პასუხობს, რომ კვიციანი მიმალვაში არ იმყოფებოდა და არც ქვეყნის საზღვარი დაუტოვებია.

„მიმალვაში რამდენად იმყოფებოდა, ვერ გეტყვით. როგორც ვიცი, ის ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე ცხოვრობს და იმავე ტერიტორიაზე დააკავეს. ჩემთვის როგორც ცნობილია, მას ქვეყანა არ დაუტოვებია“, – განაცხადა მანელიძემ.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, შეესაბამება თუ არა სიმართლეს, რომ მკვლელობაში ბრალდებული მოკლულს ფულს სისტემატურად სთხოვდა და მკვლელობაც ამის გამო მოხდა, ადვოკატი პასუხობს, რომ ამის შესახებ მისთვის ცნობილი არ არის.

„მოტივზე ფიზიკურად ვერ შეძლო კონკრეტული პასუხების გაცემა. ახლა ის დროებითი მოთავსების იზოლატორში სისტემატური ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან. მნიშვნელოვანია, მას დროული კვლევა ჩაუტარდეს, რის თაობაზეც წერილობითი შუამდგომლობა დავუყენე ბრალდების მხარეს და სათანადო კვლევის ჩატარება მოვთხოვე.

ექსპერტიზა, როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული არსებობს. პირველ ეტაპზე აუცილებელია, ამბულატორიული ჩაუტარდეს. ვშიშობ, სტაციონარულის აუცილებლობაც დადგება“, – განაცხადა მანელიძემ.

# ილია გამგებელსა და დავით ქოქიაშვილს პატიმრობა შეეფარდათ

ბადრი პატარკაციშვილის საქმეზე ურეკის პოლიციის განყოფილების ყოფილი უფროსის ჯემალ შამათავას უკანონო დაკავებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაკავებულ კუდ-ის ყოფილ თანამშრომლებს ილია გამგებელსა და დავით ქოქიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა გუშინ, 14 ნოემბერს გამოაცხადა.

სხდომას არ დასწრებია ამავე საქმეზე კიდევ ერთი ბრალდებული, ლევან ქარდავა, რომელიც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, ე.წ. ნავთლუღის ეპიზოდზეა მსჯავრდებული,

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე დაკავებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, დაცვა კი გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

დაკავებული პირებიდან ბრალს არც ერთი აღიარებს. მათ ბრალად ედებათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და განზრახ უკანონო დაკავება.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებულებს 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

– მთელი ცხოვრებაა ფორმას, მუნდირსა და ჩემს ქვეყანას ვემსახურები. იმისთვის არ მაქვს მუნდირი, რომ ვილაც უკანონოდ დავაკავო, მუნდირი მაქვს იმისთვის, რომ ქვეყანას ვემსახურო, – განაცხადა ილია გამგებელმა.

როგორც ილია გამგებელმა აღნიშნა, ის ჯემალ შამათავას საერთოდ არ იცნობს და პირველად შემთხვევიდან 13 წლის შემდეგ ტელევიზიით ნახა.

– 2006 წლის 22 აგვისტოდან 13 წელია გასული, მაგრამ კარგად მახსოვს, ჯემალ შამათავას დაკავების დღეს ზუგდიდში, საერთოდ სხვა ღონისძიებაზე ვიყავი. დაკავების დღეს გავიგე, რომ ჯემალ შამათავა დააკავეს. საერთოდ არ ვიცნობდი, ნანახიც არ მყავს.

ახლა, 13 წლის მერე, ტელევიზიით რომ გაშუქდა, ჯემალ შამათავა ჩივის, უკანონოდ დამაკავესო, მაშინ ვნახე პირველად. ფიზიკურად არ ვიყავი მისი დაკავებისას, არც მისი დაკავების ოქმზე არ მაქვს ხელი მოწერილი. გამომძიებელმაც დამიდასტურა, დაკავებისას იქ არ იყავიო. ბრალი რომ წარმიდგინეს, მითხრეს, ორგანიზებაში მიიღე მონაწილეობაო. იმ დროს შვებულება-მივლინებაში ვიყავი, – განაცხადა გამგებელმა.




მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა ილია გამგებელს სთხოვა, დაეკონკრეტებინა, მივლინებაში იყო თუ შვებულებაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტებისას მეორე ბრალდებულმა დავით ქოქიაშვილმა განაცხადა, რომ ორივე მათგანი მივლინებაში ერთად იმყოფებოდა.

– ეს საერთოდ არაფერ შუაშია, – განაცხადა გამგებელმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოსამართლემ ბრალდებულს მიმართა:

– ეს არაფერ შუაში თუ არაა, თქვენ ხართ შუაში?

წინასასამართლო სხდომა 27 დეკემბერს, 15:00 საათზე დაინიშნა.

# თაღლითური სქემა ღვინის ქარხნებსა და საწარმოებში

## დააკავეს 3 ადამიანი

კახეთის პოლიციამ თაღლითობის ბრალდებით ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 3 წევრი დააკავეს. თაღლითობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან: 1978 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისა და თაღლითობისთვის ნასამართლევი მ.ც., 1968 წელს დაბადებული დ.ტ. და 1981 წელს დაბადებული ზ.ს.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა კახეთის რეგიონში მდებარე ღვინის ქარხნებსა და მარცვლეულის საწარმოებში არსებულ სასწორებზე ფარულად დაამონტაჟეს სპეციალური ელექტრომიკროსქემები და დისტანციური მართვის პულტების საშუალებით სასწორებზე მანიპულირებდნენ. დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მათ აღნიშნულ საწარმოებსა და მოქალაქეებს მატერიალური ზიანი მიაყენეს.



სამართალდამცველებმა დაზარალებულების მიერ დანაშაულებრივი ფაქტის აღმოჩენისთანავე, მიმდინარე წლის სექტემბერში, ინტენსიურ რეჟიმში დაიწყეს საგამოძიებო მოქმედებები.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს,“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# დადიანზე ავარიაში ინტერპრესნიუსის თანამშრომელი შორენა ყასუმაშვილი და მისი მეუღლე დაიღუპნენ

თბილისში, დადიანის გამზირზე მომხდარი ავარიის შედეგად დაღუპული ახალგაზრდა ქალი საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსის თანამშრომელია. შორენა ყასუმაშვილი სააგენტოში სტილისტ-კორექტორის პოზიციაზე მუშაობდა.

ავარიის შედეგად დაიღუპა მისი მეუღლეც.

ინტერპრესნიუსი მომხდარის გამო მწუხარებას გამოთქვამს და დაღუპულების ოჯახს სამძიმარს უცხადებს.

თბილისში, დადიანის გამზირზე 13 ნოემბერს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომელსაც 2 ადამიანი ემსხვერპლა. ერთმანეთს 3 ავტომობილი შეეჯახა.

ავარიის შედეგად დაშავდა ასევე 3 ადამიანი, რომლებიც კლინიკაში არიან გადაყვანილი. მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით მიმდინარეობს.

# ავარია ქობულეთთან

## დაშავებულია 6 ადამიანი

ქობულეთის შემოვლით გზაზე 2 მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა 6 ადამიანი, მათ შორის მოზარდი. დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. ექიმების ინფორმაციით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანისთვის 2 პირი პასუხისგებაშია მიცემული

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ორი ფაქტი გამოავლინა და ორი პირი პასუხისგებაში მისცა.




„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ორი ფაქტი გამოავლინეს, რაზეც ბრალდებულის სახით ორი პირი პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში ბრალდებულმა საბაჟო-გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ გავლით, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, გადმოიტანა ოქროს ზოდი და დიდი ოდენობით ოქროს საიუველირო ნაკეთობები, საბაჟო ღირებულებით 68.742 ლარი, ხოლო, მეორე შემთხვევაში ბრალდებულის მიერ საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის გზით, საბაჟო-გამშვები პუნქტის „სარფის“ გავლით მალულად იქნა შემოტანილი 73.200 ლარის საბაჟო ღირებულების ტექსტილის ნაწარმი.

აღნიშნული კატეგორიის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე ნაწილით ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 7 წლამდე ვადით“, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ტრამპი ერდოღანს: „თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ!“

– რეჯეპ თაიფ ერდოღანთან შესანიშნავი და პროდუქტიული შეხვედრა მქონდა. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თურქ კოლეგასთან თეთრ სახლში გამართული შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, იმედი ჰქონდა, რომ შეხვედრაზე თურქეთის მხრიდან რუსული სუ-400-ის შეძენის საკითხს გადაჭრიდნენ.

– თურქეთის მიერ რუსეთიდან სუ-400-ის შესყიდვა ჩვენთვის ძალიან სერიოზული გამოწვევაა და ამის შესახებ მუდმივად ვსაუბრობთ. ჩვენ ამ საკითხზე ვისაუბრეთ დღეს და ვისაუბრებთ მომავალში. იმედი გვაქვს, სიტუაციის მოგვარებას შევძლებთ, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.



თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა კი შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ორმა ქვეყანამ ნებისმიერი უთანხმოება მხოლოდ დიალოგის გზით უნდა გადაჭრას.

– შევთანხმდით თურქეთ-ამერიკის ურთიერთობების კიდევ უფრო გაჯანსაღებასა და ურთიერთობაში ახალი გვერდის გადაშლაზე, – განაცხადა ერდოღანმა.

მისივე თქმით, თურქეთი აშშ-ის საუკეთესო პარტნიორია, რომელიც მას ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება.

– თურქეთსა და შეერთებულ შტატებს ისლამური სახელმწიფოს დასამთავრებლად და სირიაში მშვიდობის დასამყარებლად ერთად მუშაობა შეუძლიათ. ამ კუთხით თურქეთი აშშ-ის ყველაზე სანდო პარტნიორია რეგიონში, – განაცხადა ერდოღანმა.

ტრამპმა ერდოღანს უთხრა, რომ მისი თაყვანისმცემელია.

– მე თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ, – განუცხადა ტრამპმა ერდოღანს.

თავის მხრივ, ერდოღანმა ამერიკის პრეზიდენტს „ძვირფასი მეგობარი“ უწოდა

# ისლამური ჯიჰადი და ისრაელი ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმდნენ



ისლამური ჯიჰადის ინფორმაციით, ეგვიპტის შუამავლობით ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწიეს. მისი თქმით, ისრაელის მიერ განხორციელებული თავდასხმების შედეგად ღაზის სექტორში 34 ადამიანი დაიღუპა.

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ პალესტინურმა მხარემ უზრუნველყოს ღაზის სექტორში მშვიდობის შენარჩუნება, ხოლო ისრაელმა უნდა შეწყვიტოს საომარი მოქმედებები და უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

ამასთან, ისრაელის მედია წერს, რომ მიუხედავად შეთანხმებისა, ღაზის სექტორიდან აქტიური სარაკეტო თავდასხმები მიმდინარეობს. დაშავებულია ათობით ისრაელის მოქალაქე, მათ შორის 8 წლის გოგონა, რომელმაც გონება მაშინ დაკარგა, როდესაც თავდასხმის დროს თავშესაფარში გარბოდა.

ვითარება მხარეებს შორის განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, როდესაც ისრაელის თავდაცვის ძალებმა პალესტინელი სამხედრო მეთაური ბაჰა აბუ ალ-ატა მოკლეს. მოგვიანებით ისლამურმა ჯიჰადმა ისრაელს ომი გამოუცხადა.



# ამერიკის სენატში რეზოლუცია სომეხთა გენოციდის შესახებ დაბლოკეს

სენატორმა ლინდსი გრეჰემმა შეერთებული შტატების სენატში რეზოლუცია სომეხთა გენოციდის შესახებ დაბლოკა.

ეს ფაქტი შეერთებულ შტატებში ერდოღანის ვიზიტს უკავშირდება.

– ახლახან შევხვდი პრეზიდენტ ერდოღანს. იმედი მაქვს, რომ თურქეთი და სომხეთი თავად შეძლებენ ამ პრობლემის მოგვარებას, – განაცხადა გრეჰემმა. მისივე თქმით, მან რეზოლუცია არა წარსულის გამო, არამედ მომავლისთვის დაბლოკა.

თემაზე კომენტარი თურქეთის პრეზიდენტმაც გააკეთა. მისი თქმით, მას სჯეროდა, რომ სენატი გონივრულად იმოქმედებდა და არ გაიმეორებდა იმ შეცდომას, რომელიც წარმომადგენელთა პალატამ დაუშვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მოდურმა ბრენდმა ნაძვის ხის სათამაშოები სექსზე მინიშნებით წარმოადგინა

შოტლანდიურმა მოდურმა ბრენდმა Christopher Kane-მ ეროტიკული კონტექსტის აქსესუარების ზამთრის კოლექცია წარმოადგინა. ფოტოსურათები ინსტაგრამში ბრენდის გვერდზე გამოქვეყნდა.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სურათებში ჩანს ნაძვის ხის წითელი, შავი და თეთრი სათამაშოები წარწერებით: „განსაკუთრებული“, „დიდი სიამოვნება“ და „სექსი“. ერთ-ერთი სათამაშო ქალის შიშველი სხეულის ფონზეა გადაღებული. გოგონას ხელში უჭირავს ორი სათამაშო, რომლებიც მის შიშველ მკერდს ფარავს.

ნაკეთობების ფოტოსურათებს გაკეთებული აქვთ წარწერა: „იგრძენით კმაყოფილება ამ ზამთრისგან“. ყოველი სათამაშოს ფასი 20 ფუნტ სტერლინგს შეადგენს.




# 50 წლის ყოფილმა სუპერმოდელმა თაყვანისმცემლები აღაფრთოვანა



50 წლის ყოფილი სუპერმოდელის ჰელენა კრისტენსენის გარეგნობამ ინსტაგრამის მომხმარებლები აღაფრთოვანა. დანიელმა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე პლაჟზე გადაღებული ფოტოსურათები გამოაქვეყნა.

ფოტოზე კრისტენსენი, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში 51 წლის გახდება, წყლიდან ამომართული, გამხმარი ხის ფონზე პოზირებს. ფოტოს წარწერა აქვს: „შური ხეების მიმართ“.

თავიანთ კომენტარებში თაყვანისმცემლებმა ყოფილი სუპერმოდელის სხეულის ფორმებით აღფრთოვანება გამოთქვეს.

– ჯერ ისევ ულამაზესი ქალია. მას წინანდებურად მიესადაგება სიტყვა „სუპერ“ ტერმინში სუპერმოდელი, – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– შესანიშნავი სურათია, მშვენიერ ბიკინიში გადაღებული, – დაამატა მეორე ინტერნეტმომხმარებელმა.

– თქვენ ალბათ რაღაც საიდუმლოს ფლობთ, ასეთ მშვენიერ ფორმაში რომ ხართ, – დაწერა მესამემ.

# ზღვამ ნაპირზე ერთ ტონამდე კოკაინი გამორიყა

სულ ერთი თვის განმავლობაში ზღვის ტალღებმა საფრანგეთში 760 კილოგრამი კოკაინი ჩაიტანა.

ნარკოტიკების შეკვრები პლაჟებზე დაახლოებით ერთი თვის წინ გამოჩნდა და მას შემდეგ მათი ნაპირზე გამორიყვა არ შეწყვეტილა. კილოგრამობით კოკაინს ყოველდღე პოულობენ ქვეყნის მთელ ატლანტის სანაპიროზე, ჩრდილოეთში ქალაქ ნანტიდან სამხრეთში კურორტ ბიარიცამდე. უკვე ნაპოვნი ნარკოტიკების ფასი 60 მილიონი ევროა.

კოკაინი შეხვეულია გამჭვირვალე ან შავ პლასტიკატში. ზოგიერთი პაკეტები მონიშნულია იმავე წარწერებით, რომლებიც სექტემბერში ქარიშხალ „დორიანის“ შემდეგ ამერიკის ფლორიდის სანაპიროზე გამოირიყა.

კოკაინის წარმომავლობა ჯერჯერობით დაუდგენელია. საფრანგეთის პოლიციაში ვარაუდობენ, რომ კონტრაბანდისტებმა, შესაძლოა, ტვირთი ქარიშხლის დროს დაკარგეს ან სხვა მიზეზით თავიდან მოიშორეს. ორივე ვერსია მოწმდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.**

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**
**მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსალება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ანჩელოტის გზა მილანისკენ მიდის



კარლო ანჩელოტი, შესაძლოა, მილანში დაბრუნდეს. იტალიური მედიის ინფორმაციით, როსონერის მესვეურები სერიოზულად ფიქრობენ იტალიელის ხელახლა დანიშვნაზე. შეგახსენებთ, რომ 60 წლის მწვრთნელი მილანში 2001-09 წლებში მუშაობდა და, სხვა ტიტულებთან ერთად, გუნდს ჩემპიონთა ლიგა 2-ჯერ მოაგებინა.

იტალიურ გრანდს ცუდი დრო უდგას. გუნდს 13 ქულა აქვს, მე-14 ადგილზეა და, ცხადია, ეს სიტუაცია მილანელთა შეფებს არ მოსწონთ. სწორედ ამიტომ ფიქრობენ, რომ „სან სიროს" ბინადრებს ახალი მესაჭე სჭირდებათ.

რაც შეეხება ანჩელოტის, მას კარიერაში რთული პერიოდი უდგას. ნაპოლის დამრიგებელს მისივე ფეხბურთელებთან და გუნდის ხელმძღვანელებთან ურთიერთობა გაუფუჭდა, რაც მისი გუნდიდან წასვლის ალბათობას ზრდის. ისიც იწერება, რომ თუ ნაპოლი უახლოეს 2 შეხვედრაში წარმატებებს ვერ მიაღწევს, ანჩელოტის ახალი სამუშაოს მოძებნა მოუწევს. აქვე გეტყვით, რომ მისი გუნდი ჯერ სწორედ მილანს შეხვდება, შემდეგ კი – ლივერპულს.

# ალექსანდრ ზვერევი სკანდალში გაეხვია



გერმანელი ჩოგბურთელი ალექსანდრ ზვერევი სკანდალში გაეხვია და, შესაძლოა, დისკვალიფიკაციას ვერ გადაურჩეს.

ლონდონში მიმდინარე შემაჯამებელ ტურნირზე ზვერევისა და ბერძენი სტეფანოს ციციპასის მატჩში დაფიქსირდა ეპიზოდი, რომელიც დიდი განსჯის საგანი გახდა.

შეხვედრა ციციპასმა 6:3, 6:2 მოიგო, მე-2 სეტის მიმდინარეობისას კი კამერამ დააფიქსირა მომენტი, როდესაც ზვერევი ჩანთაში დამალულ ნივთს იყენებდა, რომელიც ძალიან წააგავდა ტელეფონს.

მოგეხსენებათ, ატპ-ს წესებით, ჩოგბურთელებს მატჩების დროს ტელეფონისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება აკრძალული აქვთ. აღნიშნულის მიზეზი ის არის, რომ მოთამაშეებს გარიგებულ მატჩებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცეთ.

ინციდენტს თავად საშაც გამოეხმაურა და ბრალდებას უსაფუძვლო უწოდა.

– ჩემი ტელეფონი გასახდელში დავტოვე. არ ვიცი, იქ ვინ რა დაინახა, თუმცა ეს ტელეფონი ნამდვილად არ ყოფილა. ზუსტად რა იყო? შესაძლოა, წყლის ცარიელი ბოთლი.

თუკი ზვერევს თაღლითობა მაინც დაუმტკიცდა, შესაძლოა, მას ფულადი ჯარიმის (250.000 დოლარი) გადახდა მოუხდეს.

შეგახსენებთ, რომ საშა 2018 წლის შემაჯამებელი ტურნირის გამარჯვებულია, წლეულს კი, ციციპასთან წაგებამდე, ესპანელ რაფაელ ნადალს 6:2, 6:4 სძლია.

# საქართველო შვეიცარიაში ცუდი სტატისტიკით ჩავიდა



საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ბოლო ვარჯიში გამართა სენტ გალენში და დღეს 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დასკვნით მატჩს გამართავს შვეიცარიელებთან.

ეს არ არის საქართველოს ნაკრების პირველი სტუმრობა შვეიცარიაში. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზეც ერთ ჯგუფში ვიყავით. ბაზელში სტუმრობა ალექსანდრე ჩივაძის შეგირდებს კარგად არ უნდა ახსოვდეთ – 1:4 წავაგეთ.

იქ ანგარიში ალექსანდრ ფრეიმ გახსნა, რომელიც 62-ე წუთზე შოთა არველაძემ გაათანაბრა. ქართველთა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა – 1 წუთში ჰაკან იაკინმა ისევ წინ გაიყვანა შვეიცარია. ბოლოს კი პატრიკ მიულერმა და შტეფან შაპუიზამ გაგვიტანეს.

**ეს მატჩი საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:** გვარამაძე, კობიაშვილი, შეყილაძე, კალაძე, საჯაია (რეხვიაშვილი 46, ყაველაშვილი 85), ცქიტიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, დემეტრაძე, ქინქლაძე (ბურდული 46), შ.არველაძე

საპასუხო მატჩი თბილისში 0:0 დასრულდა. მაშინ შვეიცარია პირველი ადგილით გავიდა ჯგუფიდან, ხოლო საქართველომ ბოლო, მე-5 ადგილი დაიკავა, თუმცა იმ შეხვედრაში შვეიცარიელებს 3 ქულა სჭირდებოდათ.

**საქართველოს ნაკრებმა ამჯერად სრულიად განსხვავებული შემადგენლობით ითამაშა:** ლომაია, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, რეხვიაშვილი, კვირკველია, ქემოკლიძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ნემსაძე (დიდავა 46), დემეტრაძე (აშვეთია 72), იაშვილი (შ.არველაძე 46)

შვეიცარიელთა მორიგი სტუმრობა თბილისში მიმდინარე წლის მარტში მოხდა. ამ ჯგუფის პირველივე შეხვედრაში ჯგუფის ფავორიტის მასპინძლობა გვერგო. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ შვეიცარიელებმა ცუბერისა და ზაქარიას გოლებით მოიგეს.

**ვლადიმირ ვაისმა გუნდი მოედანზე ასეთი შემადგენლობით ათამაშა:** ლორია, კაკაბაძე, ხოჭოლავა, კაშია, ტაბიძე (კვირკველია 62), კვეკვესკირი, კანკავა, ყაზაიშვილი, ანანიძე (კაჭარავა 84), გვილია, ქვილითაია (ს.ლობჟანიძე 73).

**ბოლო მატჩიდან საქართველოს ნაკრებში ამჯერად გამოძახებულნი არ არიან:** ტაბიძე, კვირკველია, ანანიძე, კაჭარავა და საბა ლობჟანიძე.

# ესპანეთი, იაპონია, ურუგვაი – ქართველ ჩოგბურთელთა ყველა მეტოქე ცნობილია




გაირკვა იმ 24-ვე ნაკრების ვინაობა, რომელიც იანვარში „ატპ ქაფზე" ითამაშებს. ეს ახლად დაარსებული ტურნირია, სადაც ნაკრებები წამყვანი ჩოგბურთელის რეიტინგის მიხედვით ირჩევა. ახალი შეჯიბრების წილისყრა ჯერ კიდევ სექტემბერში შედგა, თუმცა სრულყოფილი არ იყო, რადგან წლის რეიტინგი ბოლომდე დასრულებული არ გახლდათ.

2 თვის წინ 19 ნაკრების ვინაობა გარკვეული კი იყო, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა ლეგენდარული როჯერ ფედერერი. შედეგად, შვეიცარია ტურნირს მიღმა აღმოჩნდა, მისი ადგილი სარეზერვო სიაში მყოფთაგან საუკეთესო ბულგარეთმა დაიკავა და მას კიდევ 5 ნაკრები მოჰყვა.

გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრებს მე-3 მეტოქედ ურუგვაი ეყოლება, სხვა იღბლიანები კი ჩილე, მოლდოვა, ნორვეგია და პოლონეთი აღმოჩნდნენ.

სექტემბერში გამართულ წილისყრაზე ქართველი ჩოგბურთელები ბ ჯგუფში მოხვდნენ და მეტოქეებად ესპანეთი და იაპონია ერგოთ.

მოკლედ, ტურნირის ფორმატსაც შეგახსენებთ. ახალ საჩოგბურთო ტურნირს 2020 წლის იანვარში ავსტრალიის 3 ქალაქი (ბრისბენი, პერთი, სიდნეი) უმასპინძლებს. შეჯიბრებაში მონაწილეობას მსოფლიო ერთეულთა რეიტინგის პირველი 24 ჩოგბურთელი და მათი ქვეყნების გუნდები იღებენ.

წილისყრის შედეგად 24 ნაკრები 6 4-გუნდიან ჯგუფში განაწილდა. თითო ქალაქში 2 ჯგუფის თამაშები გაიმართება, ფინალს კი, სადაც 8 ნაკრები გადის – 6 ჯგუფის გამარჯვებული და 2 საუკეთესო მეორეადგილოსანი – სიდნეი უმასპინძლებს.

რეგლამენტი ასეთია – მატჩი შედგება 3 შეხვედრისგან, 2 ერთეულთა და 1 წყვილთა თანრიგში. საერთო ჯამში, „ატპ ქაფზე" დაუმარცხებელმა ჩოგბურთელმა, შესაძლოა, 750 ქულა დააგროვოს. ამასთან, მონაწილეები 22 მილიონ ავსტრალიურ დოლარსაც გაინაწილებენ.

ცხადია, რომ საქართველოს ნაკრების ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი იქნება, რომელმაც მცირე ხნის წინ იდაყვზე ოპერაცია გაიკეთა, თუმცა იგეგმება, რომ იანვრამდე რეაბილიტაციას მოასწრებს.

გუნდის მე-2 ნომერი ალექსანდრე მეტრეველია, შემდეგ კი გიორგი ცივაძე, ალექსანდრე ბაკში და ზურა ტყემალაძე მოდიან. კაპიტანი დავით კვერნაძე იქნება.

უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ნაკრები მატჩებს პერთში ჩაატარებს. ბასილაშვილსა და მეტრეველს სასტარტო შეხვედრა 4 იანვარს ესპანეთთან ელით, რომელსაც განაცხადში რაფაელ ნადალი და რობერტო ბაუტისტა აგუტი ჰყავს.

6-ში იაპონიასთან შერკინებაა დაგეგმილი და ჩვენებურებს თამაში კეი ნიშიკორისთან და იოშიჰიტო ნიშიოკასთან მოუწევთ, 8 სექტემბერს კი ურუგვაისთან შერკინება შედგება, რომლის ღირსებასაც პაბლო და მარტინ კუევასები დაიცავენ.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ქალაქ პერთში 28 დეკემბერს გაემგზავრება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## მწარე მილოცვა დედისგან ვაჟა ბერიძიშვილს



დღეს შენი დაბადების დღეა, შვილო. მეოთხე წელია, ხვდები ამ თარიღს მარადიულ სასუფეველში, ჩემო სიცოცხლევ. ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში. მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო!

**დედა, და ლია, დისშვილები, დეიდა და დეიდაშვილები**



ანზორ, ემზარ, რევაზ და ტიტიკო კვარაცხელიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დეიდა, ღვაწლმოსილი პედაგოგი

## დუშა სამსონის ასული ღვინჯილია-აფაქიძე

პანაშვიდი: 15, 16 ნოემბერს, 15 საათიდან;

დაკრძალვა: კვირას, 17 ნოემბერს, 14 საათზე;

მისამართი: დიღომი 7 (დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია, გრიგოლ ფერაძის ქუჩის №20-თან) ჩოხელის ქუჩა №2.

გულისხმიერ, ღირსეულ პიროვნებას, კაცურ კაცს როგორც სპორტში, ისე ცხოვრებაში, ჩემს უმცროს ძმას

## ზურა ლოსაბერიძეს



ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული. ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს ნანას, შვილებს, მთელ სანათესავოს.

**დიდი გულისტკივილით, ინგა, იბო და კახა დოლიძეები**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**; 1. უბანი თბილისში; 2. სასტუმროს ერთ-ერთი ტიპი; 3. მდინარე ქციას სახელწოდება ქვემო დინებაში; 4. კარსტული მღვიმე წყალტუბოს მახლობლად; 5. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 11. დიდი ზომის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. უაზრობა, შეუსაბამობა; 15. მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულითა და პატივისცემით; 16. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 17. სომეხთა მღვდელი; 20. ჟირაფის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად**: 6. ქალაქის თავი გერმანიაში; 7. ნიადაგის ღრმად დამამუშავებელი კულტივატორი; 8. მიწის ნაყოფიერების ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 9. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 13. თაფლგამოცლილი ფიჭა; 14. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 18. ძველებური ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 19. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 21. წრეხაზის ნაწილი; 22. ვაზის ნასხლავი; 23. ყველაზე ღრმა ტბა აფრიკაში; 24. გაგრის ძველბერძნული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ახაშენი; 2. სინათლე; 3. მეთუნე 4. მასკი; 5. ჩიჩერონე; 7. ბოა; 11. რუტინა; 15. ხერსონი; 16. ქაჯანა; 17. ვეკუა; 18. აგარა; 20. ძეგლი; 22. ლისი.

**თარაზულად:** 6. ხარება; 8. პირინეი; 9. ბასმაჩი; 10. შუშპარი; 12. განდი; 13. ივერი; 14. კოქტეილი; 19. გორგოძე; 21. ჭედილა; 23. განჯა; 24. ზუროსი; 25. ანტალია; 26. ლაჟვარდი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პერკუსია; 2. გლისერი; 3. დიეტა; 4. მურმანი; 5. ბავარია; 10. ვესტერნი; 11. სერვანტესი; 12. ალიკაპი; 15. მოდერაცია; 16. იბერია; 17. სტატიკა; 20. ტოლმა.

**თარაზულად:** 6. მეგალომანია; 7. ფუტზალი; 8. ატაკამა; 9. ოსკარი; 13. კაფე; 14. ცერული; 18. აკორდეონი; 19. ატაშე; 21. ბოლტი; 22. ქაშერი; 23. მაჟესტიკი; 24. ტრაქტატი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9608

ევრო — 3.2566

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8070

100 რუსული რუბლი — 4.5941

## ამინდის პროგნოზი 15 ნოემბერი




## მასტერშეფის ათეული ანუკი ბიწაძემ დატოვა



კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ მეორე სეზონზე ჟიურის წევრებმა ლუკა ნაჭყებიამ, ლევან კობიაშვილმა და კონსტანტინე თედელურმა მრავალი მსურველისგან ასე დააკომპლექტეს: მარიამ ქურდიანი, ნუცა სურგულაძე, დალი ჩიტალაძე, დიმუ მენაბდე, სოფო გოგებაშვილი, ნათია სუხაშვილი, ანუკი ბიწაძე, პიტო სეთურიძე, გაგა ვარდანიძე და მარტა ბარამიძე.

პირველ საკონკურსო ტურში კი მათ ქართული კერძის მომზადება დაავალეს. ყველაზე კარგად კერძი, ჟიურის გადაწყვეტილებით, გაგა ვარდანიძემ მოამზადა, ამიტომ მას იმუნიტეტი მიენიჭა. თავისი იმუნიტეტით გაგამ მარიამ ქურდიანი შემდეგ ტურში გადაიყვანა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ყველაზე ცუდი კერძი მოამზადეს სოფო გოგებაშვილმა და ანუკი ბიწაძემ. მათთან ერთად აუტსაიდერები გახდნენ პიტო სეთურიძე და ნათია სუხაშვილი, თუმცა ჟიურიმ მათ კიდევ ერთი შანსი მისცა, პროექტი კი ანუკი ბიწაძეს დაატოვებინა და სოფო გოგებაშვილს შემდეგ ტურში წარმატებები უსურვა.

## ჩრდილების თეატრი სპექტაკლებს სვანეთში გამართავს





ჩრდილების თეატრი სვანეთში სპექტაკლს „წელიწადის ოთხი დრო“ წარმოადგენს. სპექტაკლის ჩვენებამდე მესტიის მუზეუმში ნიქოზელი ბავშვების ანიმაციური ფილმების ჩვენება გაიმართება და ჩატარდება ბუდრუგანა გაგრას მასტერკლასები.

ჩრდილების თეატრი სპექტაკლებს, არაფორმალური სახელოვნებო განათლების პროექტის ფარგლებში, მესტიის რეგიონის სკოლის მოსწავლეებისთვის დაბა მესტიის პირველ საჯარო სკოლაში ორი დღის განმავლობაში გამართავს და მათზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 15 ნოემბრისათვის



**ვერძი** — ახლობელ ადამიანთან უთანხმოება, ჭორები და ცილისწამება სულიერ წონასწორობას საკმაოდ დაგირღვევთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **კურო** — ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ნუ გარისკავთ. საყიდლებზე წასვლა დღეს არ ღირს. **ტყუპები** — ცდუნებას არ აჰყვეთ. სავაჭროდ წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსურ სფეროში წარმატება თქვენს შორსმჭვრეტელობასა და წინდახედულობაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** — ნუ იაქტიურებთ. ეცადეთ, საკუთარ გრძნობებსა და აზრებში გაერკვეთ. ეცადეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდეთ. **ლომი** — ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახება. ნუ აჩქარდებით. **ქალწული** — კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. ნუ გარისკავთ. კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრების გარემოცვაში დაისვენებთ. **სასწორი** — მნიშვნელოვანი საქმეების დასაწყებად შეუფერებელი დღეა. შესაძლოა, საქმიანმა პარტნიორმა იმედი გაგიცრუოთ. **ღრიანკალი** — საყვარელ ადამიანებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ, უნდა დამშვიდდეთ და სულიერი წონასწორობა მოიპოვოთ. **მშვილდოსანი** — ყურადღება მიაქციეთ თქვენსა და ახლობლების ჯანმრთელობას. ცდუნებას არ აჰყვეთ. **თხის რქა** — ახლობელ ადამიანთან უთანხმოება, ჭორები და ცილისწამება სულიერ წონასწორობას საკმაოდ დაგირღვევთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **მერწყული** — სერიოზული ცვლილებების დღეა. ეს ცვლილებები იწვევს როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებს. თქვენზე გავრცელებულ ჭორებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. საქმე მშვიდად აკეთეთ. **თევზები** — მეგობრული და ნათესაური კავშირების აღსადგენად შესაფერისი პერიოდია. ფრთხილად იყავით კონფლიქტური სიტუაციებისას. ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

პოლკოვნიკი ლეიტენანტს ეუბნება:

— თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, შეგიძლია, ორდენისთვის ნახვრეტი გაიკეთო.

— და თუ ისე არ მოხდა, როგორც დაგეგმილია?

— ასეთი შემთხვევისთვის ნახვრეტი უკვე გაქვს...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— შენი ცოლისთვის ოდესმე თუ გითქვამს ის, რასაც მასზე მართლა ფიქრობ?

— კი, გინდა, თავზე იარები გაჩვენო?

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

— ექიმო, აი ჩემი ანალიზის პასუხები, მინდა, კიდევ ვიცოცხლო!!!

— ჩემო კარგო, ამისთვის ანალიზები არ კმარა. ფული გაქვს?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

— ლელა, რა აჩუქე შენს ქმარს?

— რა უნდა მეჩუქებინა იმ ადამიანისთვის, რომელსაც მე ვყავარ? რა თქმა უნდა, ვალერიანის წვეთები...

●●●

მედდა ექიმს ეკითხება:

— ექიმო, როგორია ჩვენი პაციენტის მდგომარეობა?

— რთული საკითხია, მაგრამ, იმედი ვიქონიოთ, რომ მკურნალობაზე ეყოფა...

●●●

ექიმი ქალს ეკითხება:

— თქვენს ოჯახში სექსის საქმე როგორაა?

— ჩემთან ყველაფერი ნორმალურადაა, მეუღლის შესახებ ვერაფერს გეტყვით...

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

— კი მაგრამ, ექვსის შემდეგ ხომ არ ჭამ?

— მერე, რა გინდა, მეექვსე ბუტერბროდია.

## პელე თანამედროვე ფეხბურთს იწუნებს



79 წლის ცოცხალმა ლეგენდამ, ედსონ არანტეს დო ნასიმენტომ, იმავე პელემ, მედიასთან ისაუბრა და თანამედროვე ფეხბურთსაც შეეხო.

ფეხბურთის მეფედ მიჩნეულმა პელემ განაცხადა, რომ დღევანდელ ფეხბურთში მესის გვერდით ითამაშებდა.

**პელე:**

— დღევანდელი ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად ლეო მესის მხარდამხარ თამაშს ვისურვებდი. ის ძალიან ტექნიკურია, ასრულებს საგოლე გადაცემებს, გააქვს გოლები და კარგი დრიბლინგი აქვს. თუ მე და მესი ერთად ვითამაშებდით, მეტოქე გუნდის მცველებს ერთის ნაცვლად 2 ფეხბურთელის შეეშინდებოდათ. დღეს მესი ყველაზე სრულყოფილი ფეხბურთელია.

და თუ რატომ კონკრეტულად ერთ ფეხბურთელთან, ამ კითხვაზე პელემ უპასუხა, რომ თანამედროვე ფეხბურთი ვარსკვლავების ნაკლებობას განიცდის.

— ადრე თქვენ ერთ ქვეყანაში 2 ან 3 უმაღლესი საფეხბურთო კულტურის მქონე ფეხბურთელს ნახავდით. ეუსებიო, კრუიფი, ბეკენბაუერი, მარადონა, გარინჩა, დიდი — რამდენი ჩამოვთვალე? მაშინ ძალიან ბევრი იყო. დღეს მხოლოდ 2 ან 3 გვყავს — მესი, რონალდუ და ვიტყოდი ნეიმარს, რომელსაც ბრაზილიაში დიადი ფეხბურთელის სახელი ჯერაც არ აქვს მოხვეჭილი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## არსენ ვენგერი ფიფაში იმუშავებს



არსენალის ყოფილი მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი ფიფაში იმუშავებს. ეს ინფორმაცია თვითონ ვენგერმაც დაადასტურა. ვენგერი გლობალური ფეხბურთის განვითარების ხელმძღვანელის პოსტს დაიკავებს. ამრიგად, ცხადი გახდა, რომ ვენგერი სამწვრთნელო საქმიანობას უახლოეს მომავალში არ დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ვენგერმა არსენალი 2018 წელს დატოვა და მანამდე ის ამ გუნდს 22 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ფრანგი სპეციალისტის დასაქმება ბაიერნს სურდა, მაგრამ ვენგერმა მათ უარი უთხრა, თუმცა მომავალში სამწვრთნელო საქმიანობის გაგრძელება არ გამორიცხა.

## ზლატანი ამერიკელებს: „ახლა შეგიძლიათ, ბეისბოლს უყუროთ“



ზლატან იბრაჰიმოვიჩმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ დეკემბრის ბოლოს ის ლოს ანჯელეს გელექსის დატოვებს. ზლატანმა ამ მოვლენას საკმაოდ სასაცილო ტვიტი მიუძღვნა: „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე. მადლობა ლოს ანჯელეს გელექსის, რომ ისევ ცოცხლად მაგრძნობინა თავი. თქვენ გინდოდათ ზლატანი, თქვენ მიიღეთ ზლატანი, ახლა კი შეგიძლიათ, ისევ ბეისბოლს უყუროთ“. იბრაჰიმოვიჩს არ დაუკონკრეტებია, თუ სად სურს კარიერის გაგრძელება, მაგრამ მან თქვა, რომ ის აუცილებლად ევროპაში დაბრუნდება. მისი ბოლო ევროპული გუნდი მანჩესტერ იუნაიტედი იყო.

## დიბალა იუვენტუსთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს



პაულო დიბალას მომავალი თითქმის გარკვეულია და ის სულ მალე იუვენტუსთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომლის მიხედვითაც მისი ანაზღაურება გაიზრდება, თუმცა კონკრეტული თანხები არ სახელდება. ზაფხულში ხშირი იყო საუბრები იმის შესახებ, რომ დიბალა იუვენტუსიდან უნდა წასულიყო, მაგრამ არგენტინელმა დარჩენა ამჯობინა და წლევანდელ სეზონში ის კარგად გამოიყურება. დიბალას გოლებმა იუვენტუსს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა.

## ოლივიე ჟირუ კარიერას ინტერში გააგრძელებს



ლონდონის ჩელსის ფორვარდი ოლივიე ჟირუ ზამთარში, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს და მილანის ინტერში გადაბარგდება. ჟირუს ჩელსიში თითქმის არა აქვს სათამაშო პრაქტიკა და ამის გამო მას წასვლა სურს. ჩელსი მის ტრანსფერში 10 მილიონს ითხოვს, რაც ინტერისთვის დიდი ფული არ არის. ფრანგი ფორვარდი უკვე 33 წლის არის და მას, სავარაუდოდ, ინტერშიც გაუჭირდება ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. გადასახსნელსახურავიანი ძველებური ეტლი; 2. ქართული სადაზღვევო კომპანია; 3. ყვითელი ფერის შემოდგომის ხილი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 7. აფრიკული თუთიყუში; 11. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 13. პოლონეთის პირველი პრეზიდენტი; 15. მდინარე ევროპაში; 16. ბრაზილიური ცეკვა; 18. ნიგერიის დედაქალაქი; 19. ძვირფასი ლითონების რაოდენობის შემცველობის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის, პლატინის ნაკეთობებში.

**თარაზულად**: 6. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 8. მაწანწალის, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 9. სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 10. ბრიტანელი კინოვარსკვლავი ქალი; 12. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 14. აზერბაიჯანული მაწონი; 17. ფრანგული ვაშლის არაყი; 20. ქართველი ველომრბოლელი, მსოფლიოს ჩემპიონი; 21. აღმოსავლური ხელჩართული ბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 22. შტატი აშშ-ში; 23. ისტორიულად სატუსაღო საფრანგეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*